ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7521957

ნომერი: AR11090517

თარიღი : 08.05.2025

გაცემის თარიღი : 19.06.2025

გაცნობის თარიღი : 20.06.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მიხა ხელაშვილის ქუჩა, N 10; ქალაქი თბილისი, მიხა ხელაშვილის ქუჩა, N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დათო მაისაშვილი პ/ნ 40001038859
- სიღნაღი ს. ტიბაანი 23–ე ქ. N 11

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 20/03/2019წ. № 4407521 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 08/05/2025 წ. AR11090517 განცხადებით მომართა მოქ. ირაკლი ბოჭორიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 31/05/2023წ. № 6485253 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და დამატებით საკადასტრო ერთეულის დაფიქსირება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 08/05/2025 წ. AR11090517 ბრძანებით,

ფარნავაზ მეფის გამზირი, N 51დ, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.72.14.014.888; ფართობი : 2166.0 კვ.მ;) : მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის მშენებლობის მიზნით დაამტკიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

წინამდებარე განაცხადით, მოთხოვნილია სამსახურის 31/05/2023წ. № 6485253 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილბის შეტანა და დამატებით საკადასტრო ერთეულის დაფიქსირება.
„მშენებლობის ნებართვისგაცემისა დაშენობა-ნაგებობისექსპლუატაციაში მიღებისწესისა დაპირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთისსამშენებლოდ გამოყენებისპირობებში უნდაისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულომოთხოვნები, რომლებიცაუცილებელია მშენებლობისგანხორციელების დოკუმენტებისპროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოსზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისთანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებისან დამატებისშეტანის უფლებააქვს მისგამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია, 31/05/2023წ. № 6485253 ბრძანებითდამტკიცებული მიწისნაკვეთის სამშენებლოდგამოყენების პირობებში ცვლილბის შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების თანახმად,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 31/05/2023წ. № 6485253 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.
კერძოდ დაფიქსირდეს დამატებით საკადასტრო ერთეული:
(საკადასტრო კოდი #01.72.14.014.684 ფართობი 979 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #: 882016823245; რეგისტრაციის თარიღი 26/02/2019 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #892024238410, რეგისტრაციის თარიღი 16/12/2016წ.);
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 31/05/2023წ. № 6485253 ბრანებასთან ერთად ;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.